ოქმი:**ო03. 3724082001**

თარიღი:**22/03/2024**

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2024 წელი 20 მარტი
ქ.ოზურგეთი
14.00 -14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ტ. არუშიძე, ლ. ბიგვავა, ბ. მელუა, ნ. ქარჩავა, გ. მდინარაძე, ქ. ხომერიკი.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი
თანამომხსენებელი: დავით გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგში წარმოდგენილ საკითხზე, აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილი იქნა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა დ. გორდელაძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა შესყიდვების გეგმის შესრულებაზე(52 მილიონი ლარი), ჩატარებულ ტენდერებზე, გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, შემდეგ ისაუბრა კონკრეტულ შესყიდვებზე, განაცხადა, რომ სულ გამოცხადდა 120 ელექტრონული ტენდერი, აქედან 19 ჩავარდა და ჩატარდა განმეორებით. შესყიდვებში გაკეთდა 3 მილიონი ლარის ეკონომია. ისაუბრა განხილულ საჩივრებზე-1 დაკმაყოფილდა, ერთს უარი ეთქვა. უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის წარდგენას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:
დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომას შემდგომი

პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი